განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ისტორია
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2019 წლის 20-21 დეკემბერი
დასკვნის წარდგენის თარიღი
2020 წლის 10 თებერვალი

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 218076542 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ისტორია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, 10 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეიმურაზ პაპასქირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გვანცა აბდალაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ოლეგ კაკუშაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან. აქედან 170 კრედიტი ეთმობა პროგრამის ძირითად კურსებს და ის შემდეგნაირად ნაწილდება: 160 კრედიტი – პროგრამის სავალდებულო საგნები; 10 კრედიტი – პროგრამის არჩევითი საგნები. დარჩენილი კრედიტებიდან 10 არის თავისუფალი კრედიტი, ხოლო 60 – დამატებითი სპეციალობის კრედიტი.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ძირითადად თანმიმდევრული და ლოგიკურია. საგნების წინაპირობები ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის ვებგვერდზე. პროგრამა, თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი – ფორმალურად შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, თუმცა აქ ადგილი აქვს ტექნიკურ ხარვეზს. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია კვალიფიკაციის კოდი 1004, რომელიც დღეისათვის ჯერ კიდევ მოქმედი სისტემით შეესაბამება ისტორიის ბაკალავრის კვალიფიკაციას. ვინაიდან უახლოეს ხანებში საბოლოოდ შევა ძალაში სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ახალი ვერსია, სასურველი იყო, მითითებული ყოფილიყო კვალიფიკაცია შემდეგი სახით: ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიის დარგში, ან ისტორიის ბაკალავრი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა 2019 წლის 20-21 დეკემბერს. ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა.

ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამა მოთხოვნებთან შესაბამისობაშია აკრედიტაციის პირველ, მესამე და მეხუთე სტანდარტთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია მეორე და მეოთხე სტანდარტთან.

- რეკომენდაციები

  - შესწორდეს ხარვეზი პროგრამის სტრუქტურაში შუა საუკუნეების ისტორიისა და ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორიის საგნების პერიოდიზაციასთან მიმართებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადამუშავდეს ახალი ისტორიის პირველი პერიოდის სილაბუსი მაინც, რომ მან მოიცვას XVI საუკუნე და XVII საუკუნის I ნახევარი;
  - საგნები: ეთნოლოგია და ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1945 წლიდან დღემდე) გადაეცეს შესაბამისი პროფილის ქართველ სპეციალისტებს;
  - შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით;
  - გადამუშავდეს ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორიის (1945 წლიდან დღემდე) სილაბუსი და მისი თემატიკა შესაბამისობაში მოვიდეს საგნის სათაურთან. გარდა ამისა, შეიცვალოს ძირითადი სახელმძღვანელო და სილაბუსი გამდიდრდეს უახლესი ლიტერატურით;
  - პოლიტოლოგიის სილაბუსს დაემატოს თანამედროვე ნათარგმნი ლიტერატურა;
  - სასურველია, პროფესორებმა გაამრავალფეროვნონ მეთოდები და განსაკუთრებით აქტივობები, რომლებსაც ისინი იყენებენ ლექციების დროს;
  - შემუშავდეს საკურსო ნაშრომის ახალი, ბაკალავრიატის დონესთან შესაბამისი კრიტერიუმები;
  - თვითშეფასების დოკუმენტიდან ამოღებულ იქნას სამეცნიერო პერსონალის შესახებ ჩანაწერი;
  - უცხოელი მოწვეული პერსონალის პროგრამაში ჩართულობა დარეგულირდეს სტუდენტის ინტერესებთან შესაბამისობაში; უცხოელი მოწვეული პერსონალის პროგრამაში ჩართულობა უნდა იყოს რეალობასთან მისადაგებული და მიღწევადი;
  - გარდა დარგის განვითარებაზე მიმართული აქტივობებისა, სასურველია უსდ-მ განახორციელოს ტრენინგები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სწავლა-სწავლების მეთოდებზე, შეფასების კრიტერიუმებსა და სილაბუსის სხვა მეთოდურ ნაწილებთან დაკავშირებით;
  - გასწორდეს სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, გახდეს არასტანდარტიზებული და კონკრეტულ სასწავლო კურსზე მორგებული.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები გადაწყობილ იქნას სამ უნარზე;
  - პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შეიცვალოს ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორიის პირველი და მეორე პერიოდის გაყოფის მიჯნა მისი 1789 ან 1815 წელზე გადმოტანით;
  - თუ უცხოელი სპეციალისტების მოწვევა წარმოადგენს უნივერსიტეტის გრძელვადიან სტრატეგიას ინტერნაციონალიზაციის კუთხით, უმჯობესი იქნება მათი მოწვევა არჩევით კურსებზე, რომელთა ჩასმა ლოგიკური იქნება სწავლების ბოლოო ორ სემესტრში;

- სასურველია, პროგრამას დაემატოს არჩევითი საგნები რეგიონის კვლევების მიმართულებით;
- სასურველია ქვიზების, სემინარების და სხვა აქტივობების ქულები ელექტრონულ ბაზაში აიტვირთოს მინიმალურ დროში და არა სემესტრის ბოლოს;
- სასურველია მოხდეს პროგრამის მეტად ინტერნაციონალიზაცია, რათა პროგრამის სტუდენტებს უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
- სასურველია „ჯგუფხელის ინსტიტუტის" ნაცვლად მეტი აქცენტი გაკეთდეს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობაზე;
- სტუდენტებთან კომუნიკაციის გასამარტივებლად უსდ-ს შემუშავებული აქვს ჯგუფხელის ინსტიტუტი. სასურველია, სტუდენტებთან კომუნიკაცია გულისხმობდეს მეტ ჩართულობას ნებისმიერი სტუდენტისთვის. ჯგუფხელის ინსტიტუტმა შესაძლოა ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას და საყოველთაობას;
- 2015 წლის 10 თებერვლის უსდ რექტორის სპეციალური ბრძანების (N1-08) საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისიის რეკომენდაციები წარმოადგენს უსდ საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის სასარგებლო რჩევებს. სასურველია, აღნიშნული რეკომენდაციების გამოყენება უფრო აქტიურად მოხდეს წარმოდგენილ პროგრამაში.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

  - აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუებმა დაადასტურა დამსაქმებლებთან აქტიური კომუნიკაცია, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს.

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

  - პროგრამაში შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი, განახლდა არსებული საგნების სილაბუსები, დაემატა ახალი საგნები და ახალი ლექტორები. ცვლილებები განხორციელდა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების და დამსაქმებელთა მოთხოვნების საფუძველზე.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და ასახული, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამა მიმართულია საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური და სხვა ასპექტების შესახებ ცოდნის მიცემაზე და იმ უნარების გამომუშავებაზე, რომელიც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს, განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე – მაგისტრატურაში ან დასაქმდეს კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებში, არქივებში, მუზეუმებში, ტურისტულ სააგენტოებში და ა.შ. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია (https://www.gu.edu.ge/ge/about/university-mission).<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში. პროგრამის კურიკულუმი უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულს ჰქონდეს საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდების ფართო ცოდნა უძველესი დროიდან თანამედროვე დრომდე, ასევე ისტორიის დამხმარე დისციპლინების ცოდნა. პროგრამის სწავლის შედეგები განზოგადებული სახით შედგენილია ცალკეული კურსების სწავლის შედეგების მიხედვით. ამავე დროს, სასურველი იყო, სწავლის შედეგები გადაწყობილი ყოფილიყო სამ უნარზე (თუმცა უსდ-ს უფლება ჰქონდა, შედეგები წარმოედგინა მოცემული სახით).

უსდ ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს აფასებს პროგრამის შეფასების ჯგუფი (იქმნება ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით), რომელშიც ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, აგრეთვე პროგრამის

| |
|---|
| განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების წარმომადგენლები. ეს ხდება როგორც პირდაპირი წესით (ე.წ. „შეწონილი შეფასება“, რომლის გამოთვლა ხდება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით“), ისე არაპირდაპირი (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვები, ინტერვიუები შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან და ა.შ.) შეფასების მეთოდებით. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ პროგრამის სწავლის შედეგის საბოლოო შეფასება აღემატება 70%-ს. მათი ანალიზის საფუძველზე პროგრამაში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, გაიზარდა არჩევითი საგნების ჩამონათვალი. გარდა ამისა, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა თხოვნით, პროგრამაში შეტანილი იქნა შემდეგი კურსები: 1. კომპიუტერული უნარ-ჩვევები; და 2. საარქივო და სამუზეუმო საქმე. მთლიანობაში გატარებული ცვლილებები უმნიშვნელო ხასიათს ატარებს, რაც როგორც პერსონალმა, ისე კურსდამთავრებულებმა ახსნეს არსებული პროგრამით კმაყოფილების მაღალი დონით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №09-27, 2018 წ. 13 აპრილი);<br>o ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>o სასურველი იყო, პროგრამის სწავლის შედეგები გადაწყობილი ყოფილიყო სამ უნარზე. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| შეფასება |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. გარდა ამისა, პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს. პირის პროგრამაზე |

| |
|---|
| ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი (http://gu.edu.ge/uploads/other/1/1590.pdf);<br>○ თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია |

| |
|---|
| შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ისტორიის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციის მიხედვით. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და სწავლის შედეგები.<br>ისტორიის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. აქედან 170 კრედიტი ეთმობა პროგრამის ძირითად კურსებს და ის შემდეგნაირად ნაწილდება: 160 კრედიტი – პროგრამის სავალდებულო საგნები; 10 კრედიტი – პროგრამის არჩევითი საგნები. დარჩენილი კრედიტებიდან 10 არის თავისუფალი კრედიტი, ხოლო 60 – დამატებითი სპეციალობის კრედიტი.<br>ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ძირითადად თანმიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა გვხვდება გარკვეული ხარვეზიც, რომელიც ეხება შუა საუკუნეების ისტორიისა და ახალი ისტორიის დაყოფას. კერძოდ, შუა საუკუნეების ისტორია დაყოფილია ორ საგნად, რომელთა სათაურებია: 1. შუა საუკუნეების ისტორია (V ს-დან XV ს. I ნახევრის ჩ.) და 2. შუა საუკუნეების ისტორია (XV ს. II ნახევრიდან XVII ს. I ნახ. ჩ.). რეალობაში, როგორც სილაბუსი გვიჩვენებს, პირველი საგანი მოიცავს პერიოდს V საუკუნიდან XIII საუკუნის ჩათვლით (ბიზანტიის გამოკლებით, რომელიც ბიზანტიის დაცემამდე მიდის), მეორე კი – XIV-XV საუკუნეებს. ამავე დროს, ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორიის პირველი პერიოდი, როგორც ამას აჩვენებს მისი სათაურიც და შინაარსიც, იწყება 1640 წლით. როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას გაირკვა, პროგრამის სტრუქტურაში გაპარულია შეცდომა და სწორია შუა საუკუნეების ისტორიის სილაბუსებში ასახული მდგომარეობა (რომელიც მსოფლიოში ძირითადად მიღებულ პერიოდიზაციასაც შეესაბამება), თუმცა ეს აუცილებელს ხდის ასევე ახალი ისტორიის, როგორც მინიმუმ, პირველი პერიოდის სილაბუსის ცვლილებას, რომ მან მოიცვას XVI საუკუნე და XVII საუკუნის I ნახევარი.<br>სტრუქტურის თვალსაზრისით, პროგრამაში თავისი ადგილი უკავია ორ სავალდებულო საგანს: 1. ეთნოლოგია (ერდოღან ალთინკაინაკი) და 2. ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორია (1945 წლიდან დღემდე) (პაველ ლიბერა), თუმცა აქ ვხვდებით სხვა სახის პრობლემას. როგორც სილაბუსებიდან ჩანს, ეს საგნები უნდა წაიყვანონ უცხოელმა სპეციალისტებმა (ეთნოლოგია ერდოღან ალთინკაინაკმა და ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორია (1945 წლიდან დღემდე) პაველ ლიბერამ). ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელობასთან საუბრისას გაირკვა, რომ ეს საგნები ინგლისურ ენაზე უნდა იქნას წაკითხული, რაც წინააღმდეგობაში მოდის როგორც პროგრამასთან, ისე საკუთრივ საგნების სილაბუსებთან, სადაც წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნა არ არის მითითებული. ამასთან, პროგრამის გეგმის მიხედვით, ეთნოლოგია არის მეორე სემესტრის საგანი, როდესაც სტუდენტებს ჯერ არ ექნებათ გავლილი ინგლისური ენის ყველა კურსი, რაც თეორიულად მაინც გახდის დასაშვებს სავალდებულო კურსის ინგლისურად წაკითხვის შესაძლებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ გაუგებარია, თუ როგორ უნდა წაიყვანონ უცხოელმა სპეციალისტებმა კურსი სილაბუსში მითითებული ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იქნება, თუ |

აღნიშნულ საგნებს ქართველი სპეციალისტები (უნივერსიტეტს ნამდვილად არ აქვს კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა) წაიყვანენ, რაც ყველა ზემოთ დასახელებულ პრობლემას მოხსნის. რაც შეეხება უცხოელ სპეციალისტებს, ვფიქრობთ, თუ უნივერსიტეტს სურს მათი მოწვევა, შესაძლებელია ამის გაკეთება ბოლო ორ სემესტრში არჩევითი საგნების დამატებით.

პროგრამის სტრუქტურა ძირითადად სავალდებულო საგნებისაგან შედგება, რაც, პირველ რიგში, უნივერსიტეტის სპეციფიკით აიხსნება. სტუდენტების არც ისე დიდი რაოდენობის გამო ფინანსურად მიზანშეუწონელია დიდი რაოდენობით არჩევითი საგნების ჩართვა პროგრამაში. ამავე დროს, სავალდებულო საგნებით პროგრამის გადატვირთვა იწვევს ცხრილის მოუქნელობას, რაც სტუდენტებისთვის გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს. ეს ართულებს მობილობით გადმოსული სტუდენტების საქმეს, რადგანაც წინაპირობების გამო მათ უწევთ სემესტრების დამატება. გარდა ამისა, ეს იწვევს იმ გარემოებასაც, რომ ისტორიის პროგრამის სტუდენტები ნაკლებად ინტერესდებიან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით, რადგანაც თუნდაც ერთი სემესტრის საზღვარგარეთ გატარება პრაქტიკულად ავტომატურად იწვევს სემესტრის დამატებას. რეგიონის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ალბათ სასურველი იქნება უშუალოდ ადგილობრივ კვლევებზე ორიენტირებული არჩევითი საგნების დამატება, მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტში ასეთი სპეციალისტები მრავლად მოიძებნება. არჩევითი საგნების რიცხვის გაზრდა უფრო გააიოლებდა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასაც, რადგანაც შეამცირებდა სემესტრში გასავლელი სავალდებულო საგნების რაოდენობას.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი – ფორმალურად შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, თუმცა აქაც ადგილი აქვს ტექნიკურ ხარვეზს. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია კვალიფიკაციის კოდი 1004, რომელიც დღეისათვის ჯერ კიდევ მოქმედი სისტემით შეესაბამება ისტორიის ბაკალავრის კვალიფიკაციას. ვინაიდან უახლოეს ხანებში საბოლოოდ შევა ძალაში სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ახალი ვერსია, სასურველი იყო, მითითებული ყოფილიყო კვალიფიკაცია შემდეგი სახით: ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიის დარგში, ან ისტორიის ბაკალავრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია (სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის №09-12 დადგენილება);
- ისტორიის პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- შესწორდეს ხარვეზი პროგრამის სტრუქტურაში შუა საუკუნეების ისტორიისა და ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორიის საგნების პერიოდიზაციასთან მიმართებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადამუშავდეს ახალი ისტორიის პირველი პერიოდის სილაბუსი მაინც, რომ

მან მოიცვას XVI საუკუნე და XVII საუკუნის I ნახევარი;

- საგნები: ეთნოლოგია და ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1945 წლიდან დღემდე) გადაეცეს შესაბამისი პროფილის ქართველ სპეციალისტებს;
- შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შეიცვალოს ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორიის პირველი და მეორე პერიოდის გაყოფის მიჯნა მისი 1789 ან 1815 წელზე გადმოტანით;
- თუ უცხოელი სპეციალისტების მოწვევა წარმოადგენს უნივერსიტეტის გრძელვადიან სტრატეგიას ინტერნაციონალიზაციის კუთხით, უმჯობესი იქნება მათი მოწვევა არჩევით კურსებზე, რომელთა ჩასმა ლოგიკური იქნება სწავლების ბოლო ორ სემესტრში;
- სასურველია, პროგრამას დაემატოს არჩევითი საგნები რეგიონის კვლევების მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

| |
|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ყველა ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები ერთობლიობით ქმნის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საკუთრივ ამ კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია დარგში არსებულ აქტუალურ მიღწევებზე.<br>ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ორი სილაბუსი: 1. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1945 წლიდან დღემდე); და 2. პოლიტოლოგია. პირველ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ დასახელებული ლიტერატურიდან მასში მოცემულ თემებს შეესაბამება მხოლოდ ნ. ნანიტაშვილის 1997 წელს გამოცემული და მოძველებული სახელმძღვანელო (დანარჩენი ლიტერატურა წინა 1945 წლამდე პერიოდს მოიცავს), აქ არის შეუსაბამობა საგნის სახელწოდებასთანაც. არც ერთი თემა არ სცდება XX საუკუნის 80-იან წლებს. შესაბამისად სილაბუსი გადასამუშავებელიცაა და ლიტერატურითაც არის გასამდიდრებელი. რაც შეეხება პოლიტოლოგიის სილაბუსს, ის გასამდიდრებელია თანამედროვე ნათარგმნი ლიტერატურით, რომელიც გამოვიდა უკანასკნელ პერიოდში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ ისტორიის პროგრამის სილაბუსები. |
| რეკომენდაციები:<br><br>➢ გადამუშავდეს ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორიის (1945 წლიდან დღემდე) სილაბუსი და მისი თემატიკა შესაბამისობაში მოვიდეს საგნის სათაურთან. გარდა ამისა, შეიცვალოს ძირითადი სახელმძღვანელო და სილაბუსი გამდიდრდეს უახლესი ლიტერატურით;<br>➢ პოლიტოლოგიის სილაბუსს დაემატოს თანამედროვე ნათარგმნი ლიტერატურა. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა და მისი კომპონენტები სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. კურსების დიდ ნაწილში გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ ამ კურსის ფარგლებში საკურსო ნაშრომის (რეფერატის ფორმატის) შესრულება. გარდა ამისა, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, მათ მონაწილეობას კათედრებთან/სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში. უნივერსიტეტში ყოველ სემესტრში ტარდება საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებში. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებული სხვადასხვა ლიტერატურული, კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. ტარდება საჯარო შეხვედრები და ლექციები. უნივერსიტეტს აქვს ზანაკი და საზაფხულო სკოლა, რომელშიც სტუდენტები იღებენ მონაწილეობას.

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის მექანიზმი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;
- ისტორიის პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში მოცემულ სილაბუსებში ძირითადად გამოყენებულია ორი მეთოდი – ლექცია და ჯგუფში მუშაობა. რამდენიმე სილაბუსში გვხვდება აგრეთვე პრაქტიკული მუშაობა. ძირითად აქტივობას სილაბუსების უდიდეს უმრავლესობაში წარმოადგენს მხოლოდ დისკუსია. მთლიანობაში პროგრამაში გამოყენებული მეთოდები სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამავე დროს, ალბათ სასურველი იქნება, რომ პროფესურამ უფრო მრავალფეროვანი მეთოდები და განსაკუთრებით აქტივობები გამოიყენოს ლექციების დროს.

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ ისტორიის პროგრამის სილაბუსები. |
| რეკომენდაციები:<br><br>➢ სასურველია, პროფესორებმა გაამრავალფეროვნონ მეთოდები და განსაკუთრებით აქტივობები, რომლებსაც ისინი იყენებენ ლექციების დროს. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>სტუდენტები ფასდებიან კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადექვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემის მეშვეობით, რომელიც ხელს უწყობს |

სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და მათ დროულ ინფორმირებას თავიანთ აკადემიურ მოსწრებაზე.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ ბაზაში, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის დროულ ინფორმირებას მიღწეული შედეგების შესახებ. გამოცდების შეფასებები არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა აისახება, თუმცა ქუიზების და სემინარების შედეგების ასახვა სემესტრის ბოლოს ერთიანად ხორციელდება.

ლექტორები არიან ობიექტურები და მიუკერძოებულები სტუდენტთა შეფასებაში. თუ კი სტუდენტს არ მოსწონს საკუთარი შეფასება, მას აქვს აქვს შესაძლებლობა ადმინისტრაციულ პერსონალთან დააყენოს ეს საკითხი, რის შემდეგაც ნაშრომი განიხილება ხელმეორედ და სტუდენტებს დეტალურად აეხსნება დაშვებული შეცდომები.

ამავე დროს, პროგრამის საგნების დიდ ნაწილში, მათ შორის, პირველი სემესტრის საგნებში, გამოიყენება საკურსო ნაშრომი (რეფერატი), რომლის შეფასება უნიფიცირებულია და ის დაყოფილია 4 ნაწილად: 1. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; 2. დასკვნის ჩამოყალიბება; 3. კომუნიკაცია; 4. სწავლის უნარი. პირველ ორ პუნქტში მაქსიმალური 3 ქულის მიღება სტუდენტს შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ ა) „პრობლემა გადაჭრილია სრულყოფილად. სრულყოფილად ფლობს სათანადო მეთოდების შერჩევისა და გამოყენების უნარს; ჩანს, რომ შესაბამისი თეორიული მასალა კრიტიკულად არის გააზრებული“ და ბ) „წარმოდგენილია პრობლემის სრულყოფილი ანალიზი – პოზიცია დასაბუთებულია თანამიმდევრული მსჯელობით და ლოგიკური დასკვნებით“. ვფიქრობთ, ბაკალავრიატის დონეზე „პრობლემის სრულყოფილი გადაჭრა“ და „სრულყოფილი ანალიზი“ უბრალოდ არარეალურია და ასეთი მოთხოვნები უფრო სადოქტორო დონეს შეესაბამება. შესაბამისად, სასურველია კრიტერიუმების გადახედვა და მათი ბაკალავრიატის დონესთან შესაბამისობაში მოყვანა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს საკურსო ნაშრომის ახალი, ბაკალავრიატის დონესთან შესაბამისი კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ქვიზების, სემინარების და სხვა აქტივობების ქულები ელექტრონულ ბაზაში აიტვირთოს მინიმალურ დროში და არა სემესტრის ბოლოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ყველა სიახლეზე როგორც ვერბალურად, ასევე ელექტრონულად. სტუდენტებთან როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური |

პერსონალის მხრიდან ინდივიდუალური მუშაობისთვის გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა და მხარდაჭერა (მათ შორის ფინანსურიც) მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, რომელთა შესახებაც ისინი ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტის მხრიდან.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პოლონური ენის წრე, შეისწავლიან პოლონურ ენას, კულტურას და ლიტერატურას. ასევე პოლონელ სტუდენტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საზაფხულო სკოლებში, რომლებიც იმართება როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე პოლონეთში.

აგრეთვე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ გასაუბრებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთაგან არცერთს უსარგებლია გაცვლითი პროგრამებით, რის ერთ-ერთ მიზეზადაც პროგრამის არასაკმარისი ინტერნაციონალიზაცია შეიძლება დასახელდეს.

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, ტარდება გამოკითხვები, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებაზე. გამოკითვები ტარდება ელექტრონულად, რომელშიც უზრუნველყოფილია კონფიდენციალურობა და არის სემესტრული. სასურველია, რომ ინტერვიუების სახითაც ჩატარდეს გამოკითხვები, რათა უფრო მეტად მიეცეს სტუდენტებს თავიანთი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. ამასთანავე ვიზიტის დროს დადგინდა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ‘’ჯგუფხელის ინსტიტუტი’’. სტუდენტები საკუთარ ჯგუფში ირჩევენ კონკრეტულ სტუდენტს, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებას, უმჯობესია თითოეულ სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიყენეს საკონსულტაციო საათები და საკუთარი მოსაზრებები და პრობლემები თავად აუხსნას აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტუდენტების განცხადებით, მათ არასდროს ჰქონიათ უნივერსიტეტში კომუნიკაციის პრობლემა.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სილაბუსებით გათვალისწინებული რესურსები. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ლიტერატურას ნამდვილად ფლობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერული დაგეგმისა და განვითარების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს ეხმარება დასაქმებაში. გამომდინრე იქიდან, რომ უნივერსიტეტს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს აღნიშნული პროგრამის პროფილის დამსაქმებლებთან, სტუდენტებს აქვთ უფრო კარგი შანსი უმოკლეს პერიოდში დასაქმდნენ, შესაბამისად პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმების საკმაოდ კარგი მაჩვენებელი აქვთ.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. სტუდენტებს აქვთ საშუალება ჩაერთონ უამრავ სპორტულ, კულტურულ და სხვა გასართობ აქტივობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან,

| |
|---|
| სტუდენტებთან;<br>○ ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ **სასურველია მოხდეს პროგრამის მეტად ინტერნაციონალიზაცია, რათა პროგრამის სტუდენტებს უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში**<br>○ **სასურველია „ჯგუფხელის ინსტიტუტის" ნაცვლად მეტი აქცენტი გაკეთდეს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობაზე.** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| ### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის |

| |
|---|
| მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამას ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა – 11, მათ შორის: 5 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი. მოწვეული პერსონალის რაოდენობა: 7. მათ შორის, ორი უცხოელი მოწვეული პროფესორი. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პრობლემურია უცხოელი პერსონალის პროგრამაში მონაწილეობა. 2 უცხოელი პერსონალი უძღვება 2 სავალდებულო სასწავლო კურსს: „ეთნოლოგია“(II სემესტრი); „უახლესი ისტორია II“(VI სემესტრი). აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსები წარმოდგენილია ქართულ ენაზე, ქართული ლიტერატურით. როგორც ინტერვიუს პროცესში გაირკვა, უცხოელი მოწვეული პერსონალი არ ფლობს ქართულ ენას და სასწავლო კურსს წარუძღვებიან ინგლისურ ენაზე. ინგლისურენოვან საგნებს არ მოიხსენიებს და არ ითვალისწინებს პროგრამის წარმოდგენილი სტრუქტურა; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ ითვალისწინებს ინგლისური ენის კომპეტენციას და არ შეესაბამება სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე გავლის მოთხოვნას; პროგრამაში

| |
|---|
| ჩართული ინგლისური ენის სასწავლო კურსები სრულდება IV სემესტრის, ან VI სემესტრის ბოლოს (იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი თავდაპირველი ტესტირების შედეგად აღმოჩნდება ენის უფრო დაბალ დონეზე).<br>უსდ თვითშეფასებაში მოხსენიებულია სამეცნიერო პერსონალი („7 მეცნიერი"). სასწავლო უნივერსიტეტს არ აქვს მექანიზმები სამეცნიერო პერსონალის საქმიანობისთვის. ინტერვიუს დროს ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ არ უსდ-ს არ ყავს სამეცნიერო პერსონალი და მისი მოხსენიება თვითშეფასებაში არის ტექნიკური შეცდომა.<br>პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (11/7) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტების რაოდენობას შორის არსებული ბალანსი ასევე უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აფილირებული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან არის 11/58; აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა: 18/58.<br>პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ სწორედ პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით მოხდა პროგრამაში არსობრივი შინაარსობრივი ცვლილებების შეტანა; გარდა ამისა, პროგრამის მომზადების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებდა საბჭოს მიერ შექმნილი თვითშეფასების ჯგუფის წევრებს შორის კოორდინაციას.<br>პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. გარდა ამისა, როგორც ინტერვიუს ჩატარების დროს გაირკვა, სტუდენტებთან კომუნიკაციის გასამარტივებლად უსდ-ს შემუშავებული აქვს ჯგუფხელის ინსტიტუტი. ჯგუფხელი ირჩევა ჯგუფის მიერ და მისი ფუნქციაა დეკანთან ყოველკვირეული შეხვედრები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს უსდ-ში განხორციელებული ინტერვიუები<br>○ უსდ მიერ წარმოდგენილი ისტორიის საბაკალავრო პროგრამა<br>○ უსდ მიერ წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო ბიოგრაფიები |
| რეკომენდაციები:<br><br>➢ თვითშეფასების დოკუმენტიდან ამოღებულ იქნას სამეცნიერო პერსონალის შესახებ ჩანაწერი.<br>➢ უცხოელი მოწვეული პერსონალის პროგრამაში ჩართულობა დარეგულირდეს სტუდენტის ინტერესებთან შესაბამისობაში; უცხოელი მოწვეული პერსონალის პროგრამაში ჩართულობა უნდა იყოს რეალობასთან მისადაგებული და მიღწევადი. |

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სტუდენტებთან კომუნიკაციის გასამარტივებლად უსდ-ს შემუშავებული აქვს ჯგუფხელის ინსტიტუტი. სასურველია, სტუდენტებთან კომუნიკაცია გულისხმობდეს მეტ ჩართულობას ნებისმიერი სტუდენტისთვის. ჯგუფხელის ინსტიტუტმა შესაძლოა ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას და საყოველთაობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამაში შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი, განახლდა არსებული საგნების სილაბუსები, დაემატა ახალი საგნები და ახალი ლექტორები. ცვლილებები განხორციელდა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების და დამსაქმებელთა მოთხოვნების საფუძველზე.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უსდ-ს აქვს მექანიზმები შეაფასოს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მოახდინოს შედეგების ანალიზი და გაითვალისწინოს პროგრამაში ცვლილებების შესატანად. გამოყენებულია ლექციებზე დასწრების პრაქტიკაც

| |
|---|
| (ხარისხის მართვის წარმომადგენლებისა და კოლეგების მიერ).<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უსდ ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ხელს უწყობს მათ ჩართულობას ეროვნულ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, ახდენს მოთხოვნის საფუძველზე მიზნობრივ ფინანსურ დახმარებას (მონოგრაფიის პუბლიკაცია, სამივლინებო თანხები). უსდ ხელს უწყობს საგრანტო კონკურსებში საკუთარი აკადემიური პერსონალის ჩართულობას (პროგრამის პერსონალი მონაწილეობს უსდ-ს მიერ მოპოვებულ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი კვლევითი პროექტების ხელშეწყობის გრანტში).<br>უსდ მოქმედი მემორანდუმები იძლევა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვის საშუალებას.<br>2019 წლის მანძილზე უსდ-მ ჩაატარა 7 ტრენინგ კურსი უსდ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. მათ შორის 6 ჩატარდა ივლისის თვეში. ტრენინგ-კურსების ჩამონათვალის მიხედვით, უსდ ძირითად აქცენტს აკეთებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დარგობრივ პროფესიულ განვითარებაზე (მაგ. სამეცნიერო რესურსებზე წვდომა), ტექნიკურ და ენობრივ კომპეტენციებზე... უსდ-ს არ აქვს პრიორიტეტად განსაზღვრული პერსონალის პროფესიული განვითარება სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o თვითშეფასების ანგარიში<br>o უსდ საუნივერსიტეტო კონფერენციების ჩამონათვალი<br>o უსდ აკადემიური პერსონალის სამივლინებო დოკუმენტაცია<br>o აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების სია<br>o უსდ ჰუმანიტარული ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტი<br>o აკრედიტაციის ვიზიტის დროს უსდ-ში განხორციელებული ინტერვიუები<br>o უსდ მემორანდუმები<br>o ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია |
| რეკომენდაციები:<br><br>➢ გარდა დარგის განვითარებაზე მიმართული აქტივობებისა, სასურველია უსდ-მ განახორციელოს ტრენინგები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სწავლა-სწავლების მეთოდებზე, შეფასების კრიტერიუმებსა და სილაბუსის სხვა მეთოდურ ნაწილებთან დაკავშირებით. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე |

| |
|---|
| ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. კერძოდ, ვიზიტის დროს საშუალება მოგვეცა გვენახა სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა მუშაობს სტანდარტების შესაბამისად, წიგნები და რიდერები იძებნება ელექტრონულად, ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი კეთილგანწყობილი და პროფესიონალია. უსდ ყოველწლიურად გამოყოფს საკმარის თანხას ლიტერატურის შესაძენად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ უსდ ჰუმანიტარული ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტი<br>○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს უსდ-ში განხორციელებული მატერიალური ბაზის დათვალიერება |

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. პროგრამა სახელდება როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი უსდ-ში, მიუხედავად იმ პრობლემისა, რომ უსდ არ იქნა უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მხრიდან ისტორიის დაფინანსებული (უფასო) საბაკალავრო პროგრამით, რაც უსდ-ს აყენებს მძიმე კონკურენციის პირობებში სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებთან.

| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ უსდ ჰუმანიტარული ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტი;<br>○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს უსდ-ში განხორციელებული ინტერვიუები |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | ✓ | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ ფლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს; პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს მექანიზმები და საშუალება ითანამშრომლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.<br>უსდ- მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება კითხვარების გამოყენება და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გარკვეული ცვლილებების შეტანა პროგრამაში.<br>ჩატარებულმა ინტერვიუებმა და წარმოდგენილმა სილაბუსებმა ვერ დაადასტურა უსდ-ში არსებული შიდა ხარისხის მექანიზმების ეფექტური გამოყენება პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ. წარმოდგენილ სილაბუსების ნაწილში შეფასება დაყოფილია მხოლოდ 3 კომპონენტად (შუალედური შეფასების მხოლოდ 1 კომპონენტით), ხოლო საკურსო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები სტანდარტიზებულია ყველა სილაბუსში და არ შეესაბამება ყველა სილაბუსის სპეციფიკას. მაგალითად, პირველ კურსზე მოთხოვნილი საკურსო ნაშრომები (რომელიც თეორიული ხასიათისაა და 7-9 გვერდიან ნაშრომს გულისხმობს) ფასდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების კომპონენტით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს უსდ-ში განხორციელებული ინტერვიუები<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 10 თებერვლის №1-08 ბრძანებით შექმნილი კომისიის ანგარიში<br>○ ფორმა №3, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა (2015, 2016, 2017, 2018)<br>○ ფორმა №4, ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (2015, 2016, 2017, 2018)<br>○ უსდ კითხვარები (პროფესორ-მასწავლებელთა მიერ სასწავლო კურსის განხორციელების შეფასება; სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის განხორციელების შეფასება).<br>○ უსდ ანალიზი (ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი;ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის |

| |
|---|
| კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი; სტუდენთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე)<br>○ პროგრამის დაგეგმვის მეთოდოლოგია (აკადემიური საბჭოს დადგენილება №09-12; (აკადემიური საბჭოს დადგენილება №09-18) |
| რეკომენდაციები:<br>➢ გასწორდეს სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, გახდეს არასტანდარტიზებული და კონკრეტულ სასწავლო კურსზე მორგებული. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>➢ 2015 წლის 10 თებერვლის უსდ რექტორის სპეციალური ბრძანების (N1-08) საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისიის რეკომენდაციები წარმოადგენს უსდ საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის სასარგებლო რჩევებს. სასურველია, აღნიშნული რეკომენდაციების გამოყენება უფრო აქტიურად მოხდეს წარმოდგენილ პროგრამაში. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| პროგრამის გაუმჯობესების მიზნით აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების და დამსაქმებელთა მოთხოვნების საფუძველზე განხორციელდა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში.<br>პროგრამას განვითარებაში დაეხმარება გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების გამრავალფეროვნება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს უსდ-ში განხორციელებული ინტერვიუები<br>○ ფორმა №4, ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (2015, 2016, 2017, 2018) |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>○ სასურველია გარე ხარისხის შეფასების დამატებითი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, |

| |
|---|
| სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დამსაქმებლებთან აქტიური და რეგულარული თანამშრომლობა, მათი რჩევების და რეკომენდაციების აქტიური გათვალისწინება პროგრამაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს უსდ-ში განხორციელებული ინტერვიუები<br>○ უსდ კითხვარები (პროფესორ-მასწავლებელთა მიერ სასწავლო კურსის განხორციელების შეფასება; სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის განხორციელების შეფასება).<br>○ უსდ ანალიზი (ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი;ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი; სტუდენთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე)<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>➢ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუებმა დაადასტურა დამსაქმებლებთან აქტიური კომუნიკაცია, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

### თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | ✓ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეიმურაზ პაპასქირი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა გვანცა აბდალაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ოლეგ კაკუშაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა